

ENTERPRISE.GOV.GE




სლიური ენგერჯი

2019



აგარმა საპარტველო



შინაარსი

ბიზნესის მიმართულება 05

ინდუსტრიული მიმართულება	06
სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება	12
თანადაფინანსების მექანიზმი მცირე და საოჯახო სასტუმრო	15
ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის	
ანარმოე უკეთესი მომავლისთვის	16
გადაიღე საქართველოში	17
მოდის ინდუსტრია	20
Fit for Partnership	20

ექსპორტის მიმართულება 21

საერთაშორისო გამოფენები	22
2019 წელს განხორციელებული ადგილობრივი ღონისძიებები	25
განათლება	25

ინვესტიციების მიმართულება 26

მომსახურების ცენტრი 31

დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 34

ჩვენს შესახებ

სსიპ „ანარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი მთავარი განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებაა. სააგენტოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში სამენარმოეო გარემოს გაუმჯობესება, მენარმოეობის განვითარება, მენარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი სანარმოეობის შექმნის და არსებული სანარმოეობის გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და მათი საექსპორტო პოტენციალის ზრდა, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა.

მისია: მენარმოეობის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

სააგენტო "აწარმოე საქართველოში" ბიზნესის მიმართულება




აწარმოე საქართველოში – ბიზნესის მიმართულების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

ინდუსტრიული მიმართულება

2014 წლიდან პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს ინდუსტრიული მიმართულება წარმოადგენს. მისი მიზანია ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოების/გადართვის ხელშეწყობის გზით საქართველოში მენარმეების მხარდაჭერა და სამენარმეო კულტურის განვითარება. პროგრამა გულისხმობს კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ან სალიზინგო კომპანიის მიერ გაცემული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას 24 კალენდარული თვის მანძილზე. გარდა ამისა, ინდუსტრიული მიმართულება მოიცავს ტექნიკური დახმარების კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარს უნაზღაურდება საინფორმაციო, საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული ხარჯის 80%, თითოეულ ბენეფიციარზე არაუმეტეს 10 000 ლარის ფარგლებში. 2019 წლის დეკემბერში პროგრამის დიზაინში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, დაკორექტირდა პრიორიტეტული სექტორების ნუსხა, საბანკო სესხის დასაფინანსებელი პროცენტი შემცირდა 10%-დან 7%-მდე, ხოლო ლიზინგის შემთხვევაში - 12%-დან 9%-მდე, ასევე მოხდა პროგრამის ორიენტირება მცირე და საშუალო ბიზნესზე.




2014-2019 წლის შედეგები



გაცემული სუბსიდია 58.7 მლნ ლ

2019 წლის შედეგები



გაცემული სუბსიდია 15 მლნ ლ

2018 წლის შედეგები



გაცემული სუბსიდია 14 მლნ ლ

2018 წელთან შედარებით, 2019 წელს ინდუსტრიული მიმართულებით გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 31%-ით გაიზარდა, სავარაუდო ჯამური ინვესტიციის მოცულობა და კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა კი შესაბამისად 19% და 25%-ით.

**ინდუსტრიული მიმართულებით 2019 წელს გაფორმებული
ხელშეკრულებები რეგიონულ ქრთმში**

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	სესხის მოცულობა (ათასი ლ)	ინვესტიცია (ათასი ლ)	დასაქმება
თბილისი	53	50,450	87,055	909
ქვემო ქართლი	10	21,627	28,785	372
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	4,285	8,489	72
იმერეთი	3	1,061	1,196	15
კახეთი	3	2,078	2,625	38
მცხეთა-მთიანეთი	3	7,015	8,419	87
შიდა ქართლი	3	4,148	4,182	25
აჭარა	2	1,341	1,871	22
სამცხე-ჯავახეთი	2	1,000	1,230	35
გურია	1	3,435	4,016	60
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	1	521	521	50
სულ	85	96,961	148,389	1685

2019 წელს ახალი ხელშეკრულება გაფორმდა 85 საწარმო პროექტთან დაკავშირებით. ამ პროექტებიდან 58 იყო საბანკო სესხის, ხოლო 27 - ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება. თბილისის შემდეგ პროექტების რაოდენობით აღსანიშნავია ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც სულ განხორციელებული პროექტების 11.8% მდებარეობს.



**ინდუსტრიული მიმართულებით 2019 წელს გაფორმებული
ხელშეკრულებები სექტორულ ჭრილში**

სექტორი	პროექტების რაოდენობა	სესხის მოცულობა (ათასი ლ)	ინვესტიცია (ათასი ლ)	დასაქმება
სამშენებლო მასალები	21	27,446	41,649	350
ქალაქი და შეფუთვა	18	16,860	20,178	489
საკვები და სასმელი	11	14,756	20,966	220
ლითონები	10	16,838	27,118	237
პლასტმასი	8	6,226	8,392	41
კარ-ფანჯრების წარმოება	4	940	940	50
ფარმაცევტიკა	4	9,885	13,277	175
ავიაციის წარმოება	3	612	717	18
სხვა წარმოება	6	3,398	15,152	105
სულ	85	96,961	148,389	1685

სექტორების მიხედვით, ყველაზე მეტი პროექტი სამშენებლო მასალების (25%), ქალაქისა (21%) და საკვები და სასმელის (13%) სექტორებზე მოდის. სამშენებლო მასალების საწარმოების რაოდენობა ჯარბობდა 2018 და 2017 წლებშიც, შესაბამისად 26% და 29% წილებით. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების თანახმად ეს სექტორი პრიორიტეტებიდან ამოღებულია.



**საწარმო პროექტები, რომლებზეც სააგენტომ 2019 წელს
თანხა გასცა, რეგიონულ ტერიტორიაში**

რეგიონი	ბენეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (ათასი ლ)	საშუალოდ ერთ პროექტზე გაცემული თანხა (ათასი ლ)
თბილისი	120	9829	81.9
იმერეთი	13	871	67.0
ქვემო ქართლი	12	1148	95.7
მცხეთა-მთიანეთი	10	1036	103.6
გურია	6	815	135.8
აჭარა	5	437	87.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	419	104.8
სამცხე-ჯავახეთი	4	298	74.5
შიდა ქართლი	3	189	63.0
კახეთი	2	33	16.5
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	1	2	2.0
სულ	180	15076	83.8

2019 წლის განმავლობაში სააგენტომ ინდუსტრიული მიმართულებით თანადაფინანსების სახით სულ 15.08 მილიონი ლარი გასცა 180 საწარმო პროექტზე. თბილისის შემდეგ, რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი თანხა ქვემო ქართლის (8%), მცხეთა-მთიანეთისა (7%) და იმერეთის (6%) რეგიონებში განხორციელებულ პროექტებზე გაიცა.



**სანარმო პროექტები, რომლებზეც 2019 წელს სააგენტომ
თანხა გასცა, სექტორულ ჭრილში**

სექტორი	ბენეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (ათასი ლ)	საშუალოდ ერთ პროექტზე გაცემული თანხა (ათასი ლ)
სამშენებლო მასალები	43	4,436	103.2
ქალაქი და შეფუთვა	28	1,559	55.7
საკვები და სასმელი	27	3,306	122.4
ლითონები	15	1,434	95.6
პლასტმასი	13	1,566	120.5
ხის გადამუშავება	12	501	41.8
ფარმაცევტიკა	9	221	24.6
ტანსაცმელი და ტექსტილი	8	630	78.8
მინის წარმოება	6	215	35.8
ავიჯის წარმოება	5	126	25.2
კარ-ფანჯრების წარმოება	4	370	92.5
სხვა წარმოება	10	712	71.2
სულ	180	15,076	83.8

სექტორების მიხედვით, თანადაფინანსების 29% გაიცა სამშენებლო მასალების სექტორში არსებულ 43 სანარმოზე. საკვები და სასმელის სექტორში 27 სანარმოზე გაიცა მთლიანად გაცემული თანხის 22% და პლასტმასის სექტორში სულ გაცემულია თანხის 10%, რომელიც განაწილდა 13 პროექტზე.

ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში სულ 9 სანარმო დაფინანსდა 79.8 ათასი ლარით. კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებული აქტივობები მოიცავს წარმოების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დანერგვას, ინტერნეტ-პოტენციალის ათვისებას (ვებ-გვერდის მომზადება, სოციალური ქსელის განახლება, სრული ბრენდინგი), შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის/წორმების შემუშავებას და დანერგვას, თანამშრომლების გადამზადებას კონკრეტული მიმართულებით და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებას.



სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება



სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება

2016 წლიდან პროგრამა „აწარმოე საქართველოში“-ს სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულება დაემატა, რომელიც მენარმეებს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითარონ სასტუმრო ბიზნესი და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები. კომპონენტი მოიცავს კრედიტის და საერთაშორისო ბრენდის მიმართულებებს. ბენეფიციარებს შეუძლიათ ორივე კომპონენტით ისარგებლონ როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთდროულად. კრედიტის მიმართულება გულისხმობს ბანკის მიერ დამტკიცებული კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებას 24 კალენდარული თვის მანძილზე. საერთაშორისო ბრენდის მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით საქმიანობის დაწყებიდან 24 თვის განმავლობაში დარიცხული ფრანჩიზის გადასახადის ანაზღაურებას. 2019 წლის დეკემბერში დამტკიცებული ცვლილებების შედეგად პროგრამის ამ მიმართულებაშიც განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. ახალი დიზაინის მიხედვით, კრედიტის ნაწილში დაფინანსება 10-დან 7%-მდე შემცირდა და შეიზღუდა სასტუმროების შესაძლო ლოკაციები. პროგრამას დაემატა ტურისტული სერვისების განვითარების და ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია. ცვლილებების მიზანია ტურისტული სერვისის ხელშეწყობა, ბალნეოლოგიური კურორტების განვითარება და სასტუმრო ინდუსტრიის ნახალისება იმ გეოგრაფიულ არეალებში, სადაც აღნიშნული მიმართულებები ნაკლებადაა განვითარებული.



გაცემული სუბსიდია 13.5 მლნ ლ

2019 წლის შედეგები



გაცემული სუბსიდია 7.2 მლნ ლ

2018 წლის შედეგები



გაცემული სუბსიდია 4.5 მლნ ლ


2019 წელს 2018 წელთან შედარებით გაფორმებული ხელშეკრულებების რიცხვი 48%-ით, სავარაუდო ჯამური ინვესტიციის მოცულობა 38%-ით, ხოლო დამტკიცებული სესხების მოცულობა 12%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში ახალი სამუშაო ადგილების და ახალი სასტუმრო ოთახების რაოდენობა, შესაბამისად, 38% და 22%-ით გაიზარდა. შედეგად, მნიშვნელოვნად (60%-ით) გაიზარდა სააგენტოს მიერ ამ მიმართულებით გაცემული თანხის მოცულობა.

სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები რეგიონულ ტრილში

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიცია (ათასი ლ)	სესხის მოცულობა (ათასი ლ)	ახალი სასტუმროს ნომრების რაოდენობა	დასაქმება
კახეთი	14	40,895	196,200	331	306
სამეგრელო-ზემო სვანეთი	12	18,264	99,530	206	156
მცხეთა-მთიანეთი	9	13,847	83,293	123	83
სამცხე-ჯავახეთი	8	33,630	125,450	382	209
აჭარა	6	16,648	98,860	281	270
იმერეთი	5	5,676	42,650	93	96
გურია	4	5,716	27,884	59	72
შიდა ქართლი	1	5,500	20,000	20	40
სულ	59	140,176	693,866	1495	1232

2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ყველაზე მეტი პროექტის განხორციელება იგეგმება კახეთში (24%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (20%) და მცხეთა-მთიანეთში (15%). აღსანიშნავია, რომ ამ პროექტების მიხედვით, ყველაზე მეტი ახალი სასტუმრო ნომერი სამცხე ჯავახეთის რეგიონში შეიქმნება.


2019 წლის მანძილზე სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით სესხის პროცენტის თანადაფინანსების მიზნით სააგენტომ 7.1 მილიონი ლარი გასცა სულ 98 პროექტზე. ამ 98 პროექტიდან ყველაზე დიდი წილი კახეთის რეგიონს ეკუთვნის, სადაც 23 სასტუმრო პროექტზე სააგენტომ 2.4 მილიონი ლარი გასცა.



**სასტუმრო პროექტები, რომელზეც სააგენტომ 2019 წელს
თანხა გასცა რეგიონულ ტერიტორიაში**

რეგიონი	ბენეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (ათასი ლ)	საშუალოდ ერთ პროექტზე გაცემული თანხა (ათასი ლ)
კახეთი	23	2,435	105.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	17	641	37.7
იმერეთი	15	801	53.4
აჭარა	12	974	81.2
მცხეთა-მთიანეთი	12	1,017	84.8
სამცხე-ჯავახეთი	10	735	73.5
გურია	7	344	49.1
შიდა ქართლი	2	184	92.0
სულ	98	7,131	72.8

პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტით 2019 წელს სამმა სასტუმრომ ისარგებლა. ამ კომპონენტში სააგენტოს ხარჯმა სულ 12.2 ათასი ლარი შეადგინა. კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებულმა სასტუმროებმა ისარგებლეს სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებით. აღნიშნულში იგულისხმება ბაზრის კვლევა და ბიზნესის განვითარების გეგმის შემუშავება, კადრების გადამზადება და მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება. ასევე, საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მხრივ სააგენტომ 2019 წელს ერთი ახალი ხელშეკრულება გააფორმა. ამავე საანგარიშო პერიოდში ამ კომპონენტით თანხა მხოლოდ ერთ პროექტზე გაიცა 70.5 ათასი ლარის ოდენობით.



თანადაფინანსების მექანიზმი მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის

2019 წლის მესამე და მეოთხე კვარტლებში სააგენტომ პროგრამა „თანადაფინანსების მექანიზმი მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის“ განახორციელა. პროგრამა გულისხმობდა 2019 წლის 1 აგვისტოდან მომდევნო 6 კალენდარული თვის განმავლობაში მცირე და საოჯახო სასტუმროების შექმნის/გაფართოების მიზნობრიობით დამტკიცებული საბანკო სესხების პროცენტის თანადაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსდა 170 განაცხადი 577.5 ათასი ლარით. რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტ პროექტს აჭარაში, თბილისსა და გურიაში დაეჭირა მხარი.

პროგრამა „თანადაფინანსების მექანიზმი მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის“ რეგიონულ ჭრილში

რეგიონი	განაცხადების რაოდენობა	გაცემული თანხა (ათასი ლ)	საშუალოდ ერთ განაცხადზე გაცემული თანხა (ათასი ლ)
აჭარა	39	132.8	3.4
თბილისი	27	97	3.6
გურია	22	76.5	3.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	21	84.6	4.0
იმერეთი	20	52.6	2.6
სამცხე-ჯავახეთის მხარე	14	36.8	2.6
კახეთი	10	25.7	2.6
მცხეთა-მთიანეთი	10	31.5	3.2
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	5	30.2	6.0
შიდა ქართლი	2	9.8	4.9
სულ	170	577.5	3.4



ანარმოე უკეთესი მომავლისთვის

2019 წლის 1 იანვრიდან ახალი საგრანტო პროგრამა „ანარმოე უკეთესი მომავლისთვის“ ამოქმედდა, რომელიც სააგენტომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად განახორციელა.

ახალი პროგრამა მხარს უჭერს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივ პარტნიორულ პროექტებს ეკონომიკური კავშირების წახალისებისა და გაღრმავების მიზნით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 48 ბენეფიციარის 14 პროექტი სულ 320,6 ათასი ლარით. 48 ბენეფიციარიდან 22 იყო ქალი.



პროექტების
რაოდენობა

10

ბენეფიციარების
რაოდენობა

35

ქალი
ბენეფიციარების
რაოდენობა

17

გაცემული
თანხა

251.443 ლ

ცხინვალი

პროექტების
რაოდენობა

4

ბენეფიციარების
რაოდენობა

13

ქალი
ბენეფიციარების
რაოდენობა

5

გაცემული
თანხა

69,200 ლ

სულ

პროექტების
რაოდენობა

14

ბენეფიციარების
რაოდენობა

48

ქალი
ბენეფიციარების
რაოდენობა

22

გაცემული
თანხა

320,643 ლ

გადაიღე საქართველოში



პროგრამა „გადაიღე საქართველოში“ 2016 წლიდან ფუნქციონირებს. პროგრამა კინონარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ და უცხოელ პროდიუსერებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში გადაიღონ ფილმი, ან სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია და უკან დაიბრუნონ ხარჯების 20-25%. დამატებით, ფილმის გადაღებასთან დაკავშირებული შესაძლო დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად სააგენტო უზრუნველყოფს პროექტების მხარდაჭერას ლოკაციის შერჩევის, სამთავრობო უწყებებისგან ნებართვების მიღების და სხვადასხვა უწყებასთან კომუნიკაციის პროცესში.

F9
THE FAST SAGA
SUMMER

გადაიღე საქართველოში


2019 წელს ხელშეკრულება გაფორმდა 13 ახალ პროექტთან დაკავშირებით, რაც რაოდენობრივად ყველაზე მეტია პროგრამის არსებობის განმავლობაში და სულ გაფორმებულ პროექტთა რაოდენობის 42%-ს შეადგენს.

ზრდა აღინიშნება გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული კვალიფიციური ხარჯის მოცულობაშიც. 2019 წელს კვალიფიციური ხარჯების მოცულობა 55.7 მილიონი ლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელს 125%-ით აღემატება და პროექტის არსებობის განმავლობაში გაფორმებული პროექტებით გათვალისწინებული მთლიანი კვალიფიციური ხარჯის 58.4%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ თანხიდან 25.4 მილიონი ლარი (45.5%) ეკუთვნის Fast and Furious ფრანჩიზის მეცხრე ნაწილის გადაღებას, რაც პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ყველაზე დიდი პროექტია.

პროგრამის დაარსებიდან დღემდე სააგენტომ 17 პროექტთან დაკავშირებული ხარჯები აანაზღაურა სულ 11.1 მილიონი ლარით. 2019 წელს გაცემულმა თანხამ 8,6 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც 6.3 მილიონი ლარი Fast and Furious-ის ფილმის ფარგლებში გაიცა. ანაზღაურებული პროექტების ფარგლებში, სუბსიდიის სახით გაცემული ერთი ლარით მოხდა 4.7 ლარის ოდენობის კვალიფიციური ხარჯის მობილიზება. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებით შეიქმნა 10 000-ზე მეტი დროებითი სამუშაო ადგილი, რაც სულ პროგრამის არსებობის მანძილზე განხორციელებული პროექტების შედეგად შექმნილი დროებითი სამუშაო ადგილების 60%-ია.



2019 წლის შედეგები



2018 წლის შედეგები




გადაიღე საქართველოში

2019 წელს ქართული ფილმების გადაღებასთან დაკავშირებით 5 ხელშეკრულება გაფორმდა. სულ პროგრამის პორტფელში 8 ქართული ფილმი ირიცხება. ამ 8 ფილმის კვალიფიციური ხარჯი 6.5 მლნ. ლარს აღწევს, საიდანაც 2019 წლის 5 ქართული ფილმის წილი თითქმის 70%-ია. 2019 წელს პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით საქართველოში განეული კვალიფიციური ხარჯების 92% უცხოური პროექტებიდანაა. 2019 წელს დასრულდა მუშაობა ე.წ ინდუსტრიულ ლუქებზე, სადაც აისახა ინფორმაცია საქართველოში არსებული საპროდიუსერო კომპანიების, ასევე, ზოგადად კინოინდუსტრიაში არსებული ვითარების შესახებ, სხვადასხვა გადასაღებ ლოკაციებსა და ე.წ. cash rebate მექანიზმზე მოცემულ საინფორმაციო მასალასთან ერთად.

სააგენტოს ორგანიზებით 6-13 ნოემბერს ამერიკის კინო მარკეტზე პროგრამა „გადაიღე საქართველოში“ წარდგენილი იყო სტენდით. ღონისძიებაზე ქართულ კომპანიებს მიეცათ საშუალება დაემყარებინათ კონტაქტები საერთაშორისო მასშტაბით. გაიმართა შეხვედრები წამყვან საპროდიუსერო კომპანიებთან, მათ შორის უნივერსალ ფიქჩერსს, დისნეისა და ეიჩბიოსთან. მოუშენ ფიქჩერს ასოციაციაში გაკეთდა „გადაიღე საქართველოში“ პროგრამის გაცნობა მათივე წევრ ორგანიზაციებში.

სააგენტოსა და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით 14-25 მაისს კანის კინოფესტივალის თანმდევ მარკეტზე საქართველო წარდგენილი იყო პავილიონით, სადაც ქართველ პროდუსერებს ჰქონდათ შესაძლებლობა კომუნიკაცია დაემყარებინათ უცხოელ კოპროდიუსერებთან.

ამავე წლის 28 აპრილიდან 5 მაისამდე სააგენტოს ორგანიზებით განხორციელდა ჰოლივუდის წამყვანი სტუდიების მაღალი რანგის წარმომადგენლებისთვის საქართველოს ლოკაციების გაცნობითი ტური. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსალ ფიქჩერსის, ეიჩბიოს და დამოუკიდებელმა ლოკაციების მენეჯერებმა. მათ 8 დღის განმავლობაში მოინახულეს კინოგადაღებებისთვის მნიშვნელოვანი ლოკაციები, მათ შორის ყაზბეგი, რუსთავი, თბილისი, უფლისციხე, ჭიათურა და ბათუმი. შედეგად, ჰოლივუდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი საქართველოში განხორციელდა.



FILM IN GEORGIA

მოდის ინდუსტრია

შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების მიზნით სააგენტო 2019 წლის ოქტომბერში გამართული მერსედეს-ბენც მოდის კვირეულის მეათე სეზონის ერთ-ერთი სპონსორი იყო. ღონისძიებისთვის სააგენტომ უზრუნველყო საერთაშორისო ბაიერების ჩამოყვანა მსოფლიოს წამყვანი მოდის სახლებიდან და შოუ რუმებიდან, მათ შორის: Voo Store Berlin, Isetan Mitsukoshi, Beyman, Tomorrow, Browns Fashion, Tom Greyhound Paris, Bergdorf Goodman, Hudson Bay, The Room. მყიდველებს საშუალება ჰქონდათ ქართველი დიზაინერების უახლეს კოლექციებს გაცნობოდნენ და მოენახულებინათ საფეიქრო სანარმოები.



FIT FOR PARTNERSHIP

გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის ფედერალურ სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და სააგენტოს კოორდინირებით ყოველწლიურად ხორციელდება Fit For Partnership - მენეჯერთა გადამზადების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქართული კომპანიის მენეჯერები მიემგზავრებიან გერმანიაში, გადიან ტრენინგებს, ეცნობიან გერმანულ ბიზნეს კულტურას, მართავენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეხვედრებს პოტენციურ პარტნიორებთან და ამყარებენ მდგრად კავშირებს გერმანულ კომპანიებთან. 2019 წელს პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 19 კომპანიის წარმომადგენელმა. პროგრამის ფარგლებში, თბილისში

ჩატარდა პროგრამისთვის მოსამზადებელი წინასწარი 3 დღიანი ტრენინგი (pre-training). პროგრამა, ასევე, მიზნად ისახავს ყველა პროგრამის მონაწილე ინდივიდის დაკავშირებას და ერთიანი ქსელის ჩამოყალიბებას. მენეჯერთა გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა 2019 წლის მდგომარეობით 75 ადამიანს შეადგენს. 2020 წლის ჯგუფისთვის შეირჩა 20-ზე მეტი ქართული კომპანიის წარმომადგენელი. ქართული ჯგუფის პარალელურად პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საერთაშორისო ჯგუფების შედგენა სექტორული მიმართულებით. 2019 წელს 2 ქართველი მენეჯერი შეირჩა ჯანდაცვის მიმართულებით. 2020 წელს იგეგმება საერთაშორისო ჯგუფებისთვის საკვების გადამამუშავებელი და ჯანდაცვის მიმართულებით მომუშავე კომპანიების მენეჯერების შერჩევა.

სააგენტო „ანარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულება




სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების მიზანია ექსპორტის სტიმულირება, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა და ამ მიზნით ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე. სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტი ასევე მუშაობს მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი სექტორების, პროდუქტების და ბაზრების იდენტიფიცირებაზე და ამ მიმართულებით შესაძლებლობის ათვისებაზე.


საერთაშორისო გამოფენები

2019 წლის განმავლობაში სააგენტომ ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით 16 საერთაშორისო ღონისძიებაზე მსოფლიოს 9 ქვეყანაში განახორციელა ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაცია, რომელშიც სულ მონაწილეობა მიიღო 167-მა კომპანიამ.

2014-2019 წლის შედეგები




2019 წლის შედეგები



2019 წელს ორგანიზებული ღონისძიებებიდან 11 ჩატარდა ევროპის ქვეყნებში. კერძოდ: საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ნიდერლანდებში და დიდ ბრიტანეთში.

2019 წელს განხორციელებული საერთაშორისო ღონისძიებები რეგიონულ ქრისტში






საკვები & სასმელი

6



სათამაშოები &
ავეჯი

2



ტყავი/აქსესუარები

1



ტანსაცმელი &
აქსესუარები

6



საკვები, სასმელი,
ტანსაცმელი,
აქსესუარები

1



სულ

16

2019 წელს სააგენტოს ორგანიზებით და თანადაფინანსებით ქართულმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს ყველაზე მასშტაბურ და მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის:

China International Import Expo (CIIE)

შანხაი, ჩინეთი - სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ ორგანიზებით და თანადაფინანსებით 33 -მა ქართულმა კომპანიამ მონაწილეობა მიიღო ჩინეთის უმსხვილეს საერთაშორისო გამოფენაში China International Import Expo (CIIE), რომელიც გაიმართა 2019 წლის 5-10 ნოემბერს ქ. შანხაიში. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის და გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის მხარდაჭერით. ქვეყნის პოპულარიზაციისა და დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სპეციალურ საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი იყო 6 სხვადასხვა სახელმწიფო უწყების საინფორმაციო სტენდი;

Gulfood 2019

დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები) 2019 წლის 17-21 თებერვალს, სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაზე საკუთარი პროდუქციით 12 ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი. Gulfood სურსათის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო ღონისძიებად მიიჩნევა მსოფლიოში, გამოფენას ყოველწლიურად სტუმრობს დაახლოებით 100,000 ვიზიტორი 185 ქვეყნიდან.

Anuga

კიოლნი, გერმანია - 2019 წლის 5-9 ოქტომბერს ქ. კიოლნიში, გერმანიაში გაიმართა ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პრესტიჟული საკვები და სასმელი პროდუქციის საერთაშორისო გამოფენა „Anuga“. სააგენტოს მხარდაჭერით აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა

მიიღო 18-მა კომპანიამ.

Paris Fashion Week Showrooms

პარიზი, საფრანგეთი - სააგენტომ 3-ჯერ, კერძოდ გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის სეზონებზე, უზრუნველყო ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩვენება „Paris Fashion Week“-ის თანმდევ ღონისძიებებზე. აღნიშნული ღონისძიებები მიიჩნევა ინდუსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანად და იმართება წელიწადში ოთხჯერ. სააგენტოს მხარდაჭერით აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ჯამში 32-მა ქართულმა ტანსაცმლის მწარმოებელმა ბრენდმა.

Spielwarenmesse

ნიურნბერგი, გერმანია - 2019 წლის 30 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ნიურნბერგში გამართულ სათამაშოების გამოფენაში - „Spielwarenmesse 2019“ 5-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. სათამაშოების წარმოების კუთხით აღნიშნული ღონისძიება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟულია, რომელშიც 2850-ზე მეტი სათამაშოების მწარმოებელი კომპანია მონაწილეობს 60 ქვეყნიდან, ვიზიტორების რაოდენობა კი ყოველწლიურად დაახლოებით 73 000-ს შეადგენს.

APLF Leather & Materials

პონგ-კონგი, ჩინეთი - 2019 წლის 13-15 მარტს გაიმართა ტყავისა და ტყავის პროდუქტების საერთაშორისო გამოფენა „APLF Leather & Materials“. სააგენტოს მხარდაჭერით აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 3-მა ქართულმა ტყავისა და ტყავის პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიამ. გამოფენა მიიჩნევა ინდუსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანად და იმართება წელიწადში ერთხელ. ჯამურად გამოფენაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 1200-მა კომპანიამ.

IFE London

ლონდონი, დიდი ბრიტანეთი - 2019 წლის 17-20 მარტს ქ. ლონდონში, დიდ ბრიტანეთში გაიმართა საერთაშორისო გამოფენა „IFE London“. სააგენტოს მხარდაჭერით აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 19-მა ქართულმა კომპანიამ.

Fashion World Tokyo

ტოკიო, იაპონია - 2019 წლის 27-29 მარტს ქ. ტოკიოში, იაპონიაში გაიმართა საერთაშორისო გამოფენა „FASHION WORLD TOKYO“. სააგენტოს მხარდაჭერით აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 11-მა კომპანიამ

2019 წელს განხორციელებული ადგილობრივი ღონისძიებები:



საგალერეო დიზაინ-ობიექტების გამოფენა 2019 წლის 15-21 მაისს MoMA თბილისში, Tbilisi Art Fair-ის (TAF) ფარგლებში, გაიხსნა საგალერეო დიზაინ-ობიექტების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო დიზაინისა და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები, კერძოდ - ავეჯი, განათება და აქსესუარები. გამოფენა გაიმართა „დიზაინ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობით და სსიპ „ანარმოე საქართველოში“ თანადაფინანსებით, ასევე GIZ-ისა და „ქართული ავეჯის კლასტერის“ მხარდაჭერით. სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე

განათლება



საგანმანათლებლო კუთხით სააგენტომ 2-ჯერ განახორციელა ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი, რომელსაც საერთო ჯამში დაესწრო 65 პირი. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში „განავითარე შენი ბიზნესი“ განხორციელდა 2 მასტერკლასი, თბილისსა და ბათუმში. ჯამურად მასტერკლასებს დაესწრო 200-ზე მეტი მსმენელი. სააგენტოს ინიციატივით და USAID-ის პროგრამის „მმართველობა განვითარებისთვის“ (Governing for Growth (G4G) in Georgia) მხარდაჭერით შეიქმნა ანიმირებული ონლაინ კურსი ექსპორტის საბაზისო საკითხებზე. ონლაინ კურსი განთავსებულია 4 სხვადასხვა პლატფორმაზე, მათ შორის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე

www.enterprise.gov.ge


<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/-export-management-fundamentals>

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ინვესტიციების მიმართულება




სააგენტოს ინვესტიციების მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და რეინვესტირების წახალისება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.

2019 წელს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) თანამშრომლობით მომზადდა სექტორების შეფასების დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს სექტორების ორი მთავარი ფაქტორით, სექტორის მიმზიდველობითა და პოტენციური ინვესტორისთვის საინვესტიციო შეთავაზების მიზანშეწონილობით რანჟირებას. ანალიზისას შესწავლილი იყო ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა სექტორული კვლევა და ჩატარდა ორმოცამდე ინტერვიუ არსებულ ინვესტორებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, დონორ ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო და სახელმწიფო უწყებებთან. IFC-ის მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით განისაზღვრა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით ექვსი პრიორიტეტული სექტორი:




სასტუმროების ინდუსტრია და
ტურიზმთან დაკავშირებული
ინფრასტრუქტურა




საავიაციო ნაწილების და
კომპონენტების წარმოება



ბიზნეს სერვისების აუთსორსინგი



კომპიუტერების, ელექტრონული და
ელექტრული მოწყობილობების
ნაწილების წარმოება



ავტონაწილების წარმოება



ტანსაცმლისა და
ფეხსაცმლის წარმოება

აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით შემუშავდა სსიპ „ანარმოე საქართველოში“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის 2020-2021 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს მომდევნო ორი წლის განმავლობაში დასახულ მიზნებს და მათ შესასრულებლად განსახორციელებელ აქტივობებს.

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის გაზრდისა და საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით შეიქმნა და პერიოდულად ახლდება სექტორული კვლევები, საინვესტიციო პროექტები, ბროშურები და საინვესტიციო გზამკვლევები. 2019 წელს მომზადდა საინვესტიციო პროექტების კატალოგი, რომელიც მოიცავს 70-მდე კერძო და სახელმწიფო საინვესტიციო პროექტს.

2019 წელს სააგენტოს ინვესტიციების

მიმართულების თანამშრომლების მიერ ორგანიზება გაენია 12 საერთაშორისო როუდშოუსა და ღონისძიებას, რომელთა ფარგლებშიც საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით შეხვედრები გაიმართა 185 კომპანიასთან. დამატებით, პროაქტიური კომუნიკაციის შედეგად შეხვედრები გაიმართა და კონსულტაცია გაენია 500-მდე პოტენციურ ინვესტორს და/ან ბიზნეს დელეგაციის წევრს (იგულისხმება ინფორმაციის მინოდება სტატისტიკის, კანონმდებლობის, გადასახადებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, შუამდგომლობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და კერძო ორგანიზაციებთან).

ამასთან, განახლდა ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის წარმოსაჩენი ვებ-გვერდი www.investingorgia.org, დაიხვეწა და დაემატა უნიკალური ინტერაქტიული ფუნქციები:



ქვეყნების შედარების ინსტრუმენტი (benchmarking tool), რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია შეადაროს საქართველო სხვა ქვეყნებს სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის გადასახადები, სახელფასო ხარჯი, ბიზნეს კლიმატი და ა. შ.



საინვესტიციო გზამკვლევი (ე.წ. Investment Roadmap), რომელიც ინვესტორებს სექტორების მიხედვით ვიზუალურად აჩვენებს, რა ეტაპების გავლა უწევთ ინვესტირების პროცესში ოპერირების დაწყებამდე.



ინტერაქტიული რუკა, რომელზეც დატანილია საინვესტიციო პროექტები, ინფრასტრუქტურის რუკა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და ა.შ.

**საერთაშორისო საიმიჯო საინვესტიციო
კამპანია Bloomberg Media-სთან
პარტნიორობით**

2019 წლის მანძილზე Bloomberg Media-სთან თანამშრომლობით მიმდინარეობდა საერთაშორისო საიმიჯო საინვესტიციო კამპანია. სარეკლამო კამპანიის მიზანი იყო საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც მიმზიდველი საინვესტიციო და ბიზნესის კეთების ადგილმდებარეობის წარმოჩენა. საქართველოს საინვესტიციო პოტენციალისა და ბიზნეს შესაძლებლობების სარეკლამო კამპანიის მედია მიქსი მოიცავდა სატელევიზიო, ინტერნეტ და ციფრულ რეკლამას Bloomberg-ის მედია პლატფორმებზე.

კამპანიის ფარგლებში მომზადდა საიმიჯო სარეკლამო ვიდეო “Georgia – A Pleasure Doing Business”. მსგავსი ტიპის კამპანიის ფარგლებში პირველად მოხდა სარეკლამოდ გამოსაყენებელი მნიშვნელოვანი ინტერვიუების ჩაწერა ისეთი მაღალი რანგის და ნდობის მქონე საერთაშორისო ბიზნეს ლიდერებთან, როგორებიცაა EBRD-ის პრეზიდენტი Sir Suma Chakrabarti და BP-ის რეგიონული წარმომადგენელი Ms. Ann Davies.



**დაწყებული საინვესტიციო
პროექტები**

სააგენტოს საინვესტიციო გუნდის ხელშეწყობით 2019 წელს დაიწყო 5 ახალი საინვესტიციო პროექტის განხორციელება, რომელთა შედეგადაც დასაქმდება 850-მდე ადამიანი. პროექტების საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 83 მლნ. აშშ დოლარს. აღნიშნული პროექტებიდან 3 პროექტი წარმოების სფეროში განხორციელდება, ხოლო 2 – IT&BPO მიმართულებით.

წარმოება - ცემენტის ქარხანა

კომპანია Pioneer Cement, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ცემენტის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებლის, Raysut Cement-ს შვილობილია, დაიწყო სამუშაოები მარნეულის მახლობლად მდებარე ცემენტის კირქვის საბადოზე და მალე დაიწყება სამუშაოები საწარმოს ასაშენებლად, რომელიც წელიწადში 1.2 ტონა ცემენტს აწარმოებს.

2019 წელს უკვე ჩატარდა ტერიტორიის აღწერა და გაიხსნა საბადო. საწარმოს მშენებლობა 2020 წელს დაიწყება. ინვესტიციის სავარაუდო მოცულობაა 200 აშშ დოლარი და 150 მდე სამუშაო ადგილი შეიქმნება.

“საქართველოში გაფართოება მნიშვნელოვანი ნიშნულია როგორც Pioneer Cement-ის ასევე მისი მფლობელი Raysut-ისთვის, რადგან ეს ახალ და დივერსიფიცირებულ ბაზრებზე გვექნება წვდომა. დარწმუნებული ვართ ეს გადანვეტილება კიდევ უფრო გააძლიერებს და ხელს შეუწყობს ჩვენს აგრესიული გაფართოების სტრატეგიას როგორც რეგიონში, ასევე გლობალურ ბაზრებზე. განახილეთ Pioneer Cement-ის გენერალურმა დირექტორმა ბატონმა B.S. Rajan-მა”

წარმოება - რეზინის პროდუქტების სანარმო

საერთაშორისო კომპანია, რომელიც რეზინისა და პლასტმასის ავტონაწილებით გლობალურ ბრენდებს ამარაგებს, საქართველოში სანარმოს გახსნის. საქართველოზე არჩევანი სტრატეგიული ლოკაციის, დაბალი გადასახადებისა და ხელსაყრელი ბიზნეს კლიმატის გამო შეაჩერეს. სანარმო თბილისის მახლობლად იქნება და პირველ ეტაპზე 60-მდე ადამიანს დაასაქმებს.

წარმოება - საფეიქრო ნაწარმის ფაბრიკა

თურქულმა კომპანიამ, რომელიც უკანასკნელი წლის მანძილზე ქუთაისში ნაქირავე სანარმო შენობაში სატესტო რეჟიმში ტანსაცმელს აწარმოებდა, გადაწყვიტა მიწის შეძენა და ახალი სანარმოს აშენება ქუთაისში. პროექტის განხორციელების შედეგად 300-მდე ადამიანი დასაქმდება.

IT&BPO - კლიენტების მომსახურების ცენტრი

“2019 წლის განმავლობაში 2 ახალი ოფისი გავხსენით, ქუთაისსა და თბილისში, რის შედეგადაც დამატებით 500 მდე ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. 2019 წლის ბოლოს დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა კი 1100-მდე გაიზარდა.

მსოფლიოს წამყვანი ბრენდები ისეთ სექტორებში როგორებიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიები, მოგზაურობა და ტურიზმი, ავტო და მაღალტექნოლოგიური სამომხმარებლო პროდუქტები, საკუთარ კლიენტებს მომსახურებას საქართველოდან, სწორედ Majorel-ის მეშვეობით უწევენ.”

“მას შემდეგ რაც 2016 წელს საქართველოში შემოვედით ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი გზა გამოვიარეთ. კომპანიის წარმატების საწინდარი საქართველოში გახდა თანამშრომლების მოტივირებულობა და ენების უმაღლეს დონეზე ცოდნა. ასევე დიდი როლი ითამაშა ბიზნესზე მორგებულმა საინვეტიციო კლიმატმა და როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უწყებებთან არსებულმა კარგმა ურთიერთობამ” – განაცხადა კომპანიის მენეჯმენტმა.

მომსახურების ცენტრი

სააგენტოს მომსახურების
მომსახურების არხებს:



საინფორმაციო



სატელეფონო ცენტრი



ონლაინ ჩატი

ქოლცენტრთან სწრაფი და ადვილი წვდომისთვის მოკლე
ცხელი ხაზის ნომერია - **1525**

სატელეფონო ცენტრის ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, "კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯმენტი" (CRM) პროგრამა დაინერგა. პროგრამა თვლის სააგენტოს „ანარმოდგენი საქართველოში“ მიერ გაწეულ კონსულტაციებს და წარმოადგენს „Case Management System“-ის ინსტრუმენტს შემდეგი მომსახურების საფუძველზე:



შემოსული და გამავალი
ზარების მონიტორინგი



აუდიო ჩანერა



გადასაჭრელი და პრიორიტეტული
საკითხების იდენტიფიკაცია და
სისტემატიზაცია



ანგარიშგების მენეჯმენტი
სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით,
როგორებიცაა ბენეფიციარების
ეკონომიკური საქმიანობა,
რეგიონული დაყოფა,
ოპერატორის პორტფოლიო და სხვა.

2019 წლის ბოლოს სატელეფონო ცენტრში სერვისის გაუმჯობესების მიზნით დაინერგა შეფასების სისტემა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს ოპერატორის მიერ გაწეული კონსულტაცია.

სააგენტოს მომსახურების ცენტრში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით 2019 წელს დაფიქსირდა 19 088 მომართვიანობა. აღნიშნული მოიცავს: შემოსულ ზარებს, გასულ ზარებს, ვიზიტებს, ონლაინ ჩატს და ელექტრონულ ფოსტას.

მომსახურების ცენტრის 2019 წლის დატვირთვა



მომსახურების ცენტრმა ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდა საჭირო ინფორმაცია შემდეგი სააგენტოების მომსახურებაზე/პროექტებზე:

-  სააგენტო „ანარმოე საქართველოში“
-  სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
-  საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
-  სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო
-  საპარტნიორო ფონდი

დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2019 წლიდან სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ რესტრუქტურის პროცესის დასრულების საფუძველზე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დონორთა კოორდინაციის სამსახურის ჩამოყალიბების შედეგად სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ პროაქტიულად თანამშრომლობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც, თავის მხრივ, მენარმეობის ხელშეწყობის, ექსპორტის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით სათანადო რესურსების მოძიებასა და არსებული პროგრამების განვითარებას ემსახურება.

USAID/HICD

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადამიანისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის (HICD) ფარგლებში, USAID-ის აქტიური მხარდაჭერით სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ინსტიტუციური გაძლიერებისა და სამუშაო პროცესების დახვეწის მიზნით განხორციელდა კვლევა სააგენტოს სტრუქტურისა და ეფექტურობის გაზრდის მიმართულებით.

აღნიშნული კომპლექსური კვლევის საფუძველზე, საერთაშორისო ექსპერტისა და სააგენტოს გუნდის ჩართულობით განერილია კონკრეტული რეკომენდაციები და აქტივობები უწყებაში არსებული პროცესების დაგეგმვისა და განვითარების კუთხით.

USAID/Agriculture Program

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და ამერიკის შეერთებული შტატების

საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოფლის მიმართულების პროგრამას შორის 2019 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ექსპორტიორი კომპანიების ხელშეწყობის მიზნით USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის თანადაფინანსებით 2019 წლის ივნისში 5-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა კორეის რესპუბლიკაში, ქალაქ სეულში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „Import Goods Fair 2019“. ასევე, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოფლის მიმართულების პროგრამას შორის თანამშრომლობის ფარგლებში განისაზღვრა მენარმეთა მხარდაჭერი რიგი აქტივობები, რომელთა განხორციელება დაგეგმილია 2020 წლის განმავლობაში. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 18-მა კომპანიამ.

The USAID Economic Security Program

USAID-ის ახალი ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა (USAID Economic Security Program) სააგენტოსათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორად ჩამოყალიბდა. სააგენტოსა და ეკონომიკური უსაფრთხოების

პროგრამის თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროებად რამდენიმე სექტორი განისაზღვრა, რაც გულისხმობს BPO (Business Process Outsourcing), ტურიზმის, ავეჯის წარმოების, შეფუთვისა და კრეატიული ინდუსტრიების კუთხით აქტიურ თანამშრომლობას და ხსენებული მიმართულებების განვითარებას.

EU/GIZ:

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) სააგენტოს აქტიური პარტნიორია.

⚙️ სააგენტოს რეორგანიზაციისა და სხვა შიდა სტრუქტურული ცვლილების შედეგად, პროცესების გამართვისათვის, GIZ-ის მხარდაჭერით, 2019 წლის დეკემბერში სააგენტოს თანამშრომლებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა და მოხდა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების ანალიზი და შემუშავება.

⚙️ 2019 წელს GIZ-ის მხარდაჭერით სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით დასაქმებულ კადრებს შესაძლებლობა მიეცათ ციფრული მარკეტინგის მიმართულებით კვალიფიკაცია ამაღლებინათ.

⚙️ ასევე, 2019 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ მოამზადა კვლევითი დოკუმენტები ქართული ავეჯის, ICT და ტანსაცმლის წარმოების სექტორების შესახებ.

SIDA/EPRC:

2019 წელს შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოსა (SIDA) და ეკონომიკისა და

პოლიტიკის კვლევის ცენტრთან (EPRC) თანამშრომლობით სააგენტო აქტიურად ჩაერთო პროექტში GEClose2EU, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, მათი ცნობადობის გაზრდა ევროპის ბაზარზე და ინტერნაციონალიზაციის ახალი შესაძლებლობების შექმნა. ხსენებული პროექტის ფარგლებში შეირჩა 60 კომპანია 5 სხვადასხვა სექტორიდან, რომლებიც მიიღებენ გრანტს 15 000 ლარის ოდენობით; 2020 წლის განმავლობაში კი უცხოური გამოცდილების გაზიარების მიზნით დაგეგმილია აღნიშნული კომპანიების შვედეთში სასწავლო ვიზიტის დაფინანსება EPRC-ს მიერ.

ასევე, 2019 წლის დეკემბერში EPRC-ის დაფინანსებით სითი მოლის ტერიტორიაზე 2 კვირიანი და ფაბრიკის ტერიტორიაზე ერთდღიანი საახალწლო ბაზრობა გაიმართა, სადაც სააგენტოს ბენეფიციარი 200-მდე კომპანიის პროდუქცია იყო გამოფენილი.

Austrian Development Agency (ADA):

ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა ვებ-გვერდის - www.investingeorgia.com

განახლება, რომელიც ფუნქციონალის გაუმჯობესებას, სტატისტიკური ინფორმაციისა და საინვესტიციო გზამკვლევის დამატებას მოიაზრებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოსა და სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების სრულად ასახვის მიზნით.

UN Women:

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ სააგენტოში განხორციელებული გენდერული აუდიტის შედეგების საფუძველზე სსიპ-ში „ანარმოე საქართველოში“¹ წლის განმავლობაში იმუშავეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც დაეხმარება სააგენტოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე სააგენტოში შეიქმნება გენდერული თანასწორობის საკითხების რეგულირების ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას, ასევე სააგენტოს სისტემასა და მის პროგრამებში გენდერული მენისტრინგის განხორციელებას.

International Trade Center (ITC):

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი სააგენტოსთან 2018 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს და საერთაშორისო გამოფენებში ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების მონაწილეობას უწყობს ხელს თანადაფინანსების გზით. 2019 წელს ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა 23 კომპანიის მონაწილეობას 3 საერთაშორისო გამოფენაში (IFE London 2019; Anuga Cologne 2019; FI Paris 2019).



დანართი 1

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა
(2015-2018) შედეგები

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (მლნ ლ)
აჭარა	596	954	4.83
გურია	316	501	2.60
იმერეთი	870	1239	6.07
კახეთი	632	1130	5.62
მცხეთა-მთიანეთი	438	743	3.44
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	702	882	4.10
სამეგრელო-ზემო სვანეთი	914	1358	7.03
სამცხე-ჯავახეთი	800	1074	5.70
ქვემო ქართლი	481	765	4.00
შიდა ქართლი	463	738	3.53
სულ	6212	9384	46.92

ინდუსტრიული მიმართულების შედეგები (საწარმოები
2014-2019) რეგიონულ ტრილში

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	სავარაუდო ინვესტიციის მოცულობა (მლნ ლ)	სესხის მოცულობა (მლნ ლ)	დასაქმება
აჭარა	16	29.74	18.30	349
გურია	6	13.70	10.41	283
თბილისი	222	465.01	300.74	7084
იმერეთი	22	34.94	25.10	1070
კახეთი	5	4.28	3.67	101
მცხეთა-მთიანეთი	22	100.90	40.60	781
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	1.96	1.30	62
სამეგრელო-ზემო სვანეთი	15	34.45	26.19	2035
სამცხე-ჯავახეთი	5	4.83	3.57	99
ქვემო ქართლი	36	72.23	53.06	1045
შიდა ქართლი	8	21.19	12.51	117
სულ	359	783.21	495.46	13026

ინდუსტრიული მიმართულების შედეგები (საწარმოები
2014-2019) სექტორულ ტრილში

სექტორი	პროექტების რაოდენობა	სავარაუდო ინვესტიციის მოცულობა (მლნ ლ)	სესხის მოცულობა (მლნ ლ)	დასაქმება
ავთვის წარმოება	7	5.5	2.8	193
ელექტროტექნიკა	2	5.4	1.0	50
კარ-ფანჯრების წარმოება	7	10.4	8.0	178
ლითონები	30	85.2	63.3	1166
მინის წარმოება	9	9.8	7.3	172
პლასტმასი	33	62.4	46.1	563
საკვები და სასმელი	58	199.9	93.7	2663
სამშენებლო მასალები	91	181.3	116.4	2056
სხვა წარმოება	14	30.4	11.1	235
ტანსაცმელი და ტექსტილი	13	33.3	28.0	3027
ფარმაცევტიკა და ქიმიური წარმოება	20	49.2	33.8	756
ქალაქი და შეფუთვა	59	92.9	72.0	1371
ხის გადამამუშავება	16	17.5	12.1	596
სულ	359	783.2	495.5	13026

**საწარმოების გადანაწილება სექტორულ და რეგიონულ
ქრთლში (2014-2019)**

სექტორი/ რეგიონი	აჭარა	გურია	თბილისი	იმერეთი	კახეთი	მცხეთა- მთიანეთი	რაჭა- ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო- ზემო სვანეთი	სამცხე- ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
ავეჯის წარმოება			7								
ელექტრო ტექნიკა						1				1	
კარ- ფანჯრების წარმოება			5	1					1		
ლითონები	1		17	4						8	
მინის წარმოება	1		7							1	
პლასტმასი	1		27	1						3	1
საკვები და სასმელი	2	1	34	3	3	10	1	3		1	
სამშენებლო მასალები	7	4	30	9		6	1	9	4	14	7
სხვა წარმოება	1		11		1					1	
ტანსაცმელი და ტექსტილი		1	7	2				2		1	
ფარმაცევტიკა და ქიმიური წარმოება			11			3		1		5	
ქალაღდი და შეფუთვა	3		55			1					
ხის გადამუშავება			11	2	1	1				1	
სულ	16	6	222	22	5	22	2	15	5	36	8

**სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების შედეგები
(2016-2019) რეგიონულ ქრთლში**

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა (მლნ ლ)	სესხის მოცულობა (მლნ ლ)	დასაქმება	ახალი სასტუმროს ნომრების რაოდენობა
აჭარა	12	30.96	19.17	393	525
გურია	10	27.73	10.31	260	278
იმერეთი	16	19.73	14.70	315	310
კახეთი	34	110.28	58.47	972	925
მცხეთა-მთიანეთი	19	62.08	25.09	498	561
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	1	0.70	0.48	15	18
სამეგრელო-ზემო სვანეთი	22	34.31	19.54	385	461
სამცხე-ჯავახეთი	20	59.07	26.91	440	735
შიდა ქართლი	2	5.88	2.29	53	40
სულ	136	350.74	176.95	3331	3853



სააგენტო "აწარმოე საქართველოში"

უმნაძის ქუჩა N18. თბილისი, საქართველო

ელ-ფოსტა: info@enterprise.gov.ge

ცხელი ხაზი: 15 25

ტელ: + 995 32 296 00 10

enterprise.gov.ge



აწარმოე საქართველოში